მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. კომპანიის მარაგები მოცავს საშენებლო მასალებს და ძირითადი საშუალების ექსპლუატაციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

6. ამონაგები

კომპანიის შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შესარულებული სამშენებლო სამუშაოების საფუძველზე. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 7,767,228.00 ლარი.

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ლარი	31-12-18
საოფისე ინვენტარი	2,075
კომუნიკაციის ხარჯები	9,893
დაზღვევა	476
კომპიუტერის ხარჯები	227
საკონსულტაციო ხარჯები	17,965
გადარიცხვის საკომისიო	3,697
კომუნალური ხარჯი	2,774
ელექტრო ენერგიის ხარჯი	9,454
სარეგისტრაციო და ცნობები	2,198
მცირეფასიანი ინვენტარი	8,226
მივლინება	82,844
მიდინარე რემონტი	44,078
სხვა ხარჯები	778
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	184,685

8. საპროცენტო ხარჯი

კომპანია 2017 წლიდან მონაწილეობს პროექტში "აწარმოე საქართველოში". აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ. პროგრამის ფარგლებში სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" კომპანიებს უფინანსებს საწარმოო დანადგარების შესაძენად მიღებული სესხების პროცენტს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებულმა თანხამ 2018 წელს შეადგინა 135,663 ლარი. საპროცენტო ხარჯები ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო თანხით.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი		
ფულადი სახსრები ლარში	20,223	17,739
ფულადი სახსრები ევროში	-	343,006
ფულადი სახსრები გირვანქა სტერლინგში		7
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	20,223	360,752

10 მარაგები	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი		
ნედლეული და მასალები	1,283,152	544,377
სხვა მასალები	5,042	-
სულ მარაგი	1,288,194	544,377

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	1,082,637	215,990	1,596,481	162,199	7,637,430	277,859	5,207,901	473,392	16,653,889
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში	-	144,221	-	-	170,812	70,160	1,072,683	-	1,457,876
დარიცხული ცვეთა	-	-	292,544	10,145	3,957,182	173,332	2,163,592	230,524	6,827,319
გასული	-	-	-	5,042	-	-	-	-	5,042
ნარჩენი ღირებულება	1,082,637	360,211	1,303,937	147,012	3,851,060	174,687	4,116,992	242,868	11,279,404
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,082,637	360,211	1,596,481	157,157	7,808,242	348,019	6,280,584	473,392	18,106,723

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

12. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი				
საქართველოს ბანკი #5414260 (საკრედიტო ხაზი)	GEL	12%	748,945	-
საქართველოს ბანკი #49884444 (მიმ. ნაწილი)	GEL	13%	151,837	90,730
საქართველოს ბანკი #4554725 (მიმ. ნაწილი)	GEL	13%	775,599	173,056
საქართველოს ბანკი #4988551	GEL	13%		1,153,954
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			1,676,381	1,417,740

13. სხვა ფინანსური ვალდებულებები (დარიცხული პროცენტები)	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი				
საქართველოს ბანკი #5414260 (საკრედიტო ხაზი)	GEL	12%	739	-
საქართველოს ბანკი #49884444	GEL	13%	847	70
საქართველოს ბანკი #4554725	GEL	13%	1,339	1,670
საქართველოს ბანკი #4988551	GEL	13%	-	1,257
შპს ვირტგენ საქართველო	EUR	11%	150,615	-
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები (დარიცხული პროცენტები)			153,540	2,997

14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი				
საქართველოს ბანკი #4554725	GEL	13%	-	52,069
საქართველოს ბანკი #49884444	GEL	13%	585,183	775,600
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			585,183	827,669

15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები შედგება შპს ვირტგენ საქართველო დავალიანებისგან ევროში. აღნიშნული კომპანიისგან შეძენილია ხუთ წლიანი პერიოდული გადახდით ასფალტის ქარხანა.

16 გადაფასების რეზერვი

კომპანიამ 2017 წლის ბოლოს გადააფასა უძრავი ქონება, რომელთა საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მის რეალურ ღირებულებისგან. გადაფასების შედეგად ქონების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 2,002,220 ლარი, ხოლო გადაფასების რეზერვმა 1,827,509 ლარი

17. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება.

18. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია. აგრეთვე, კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები მოთხოვნებზე, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

1. მოსარჩელე - შპს „კვადრა გრუპი“

მოპასუხე - შპს „ინდიკო“

დავის განმხილველი სასამართლო - ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

დავის არსის მოკლე მიმოხილვა - სენაკის რაიონულმა სასამართლომ 15.04.2019 წლის გადაწყვეტილებით (სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა 06.05.2017 წელს) შპს „კვადრა გრუპი“-ს სასარგებლოდ შპს „ინდიკო“-ს დაავისრა ერთობლიობაში 82843.58 ლარის გადახდა. შპს „კვადრა გრუპი“ შპს „ინდიკო“-ს ედავება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას. შპს „ინდიკო“ თვლის, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა (შპს „კვადრა გრუპი“ ქვეკონტაქტური ორგანიზაცია იყო, ხოლო შპს „ინდიკო“-ს სახელმწიფო დაწესებულებასთან „საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან“, ჰქონდა ხელშეკრულება დადებული, რომელიც აღნიშნულმა დეპარტამენტმა შეწყვიტა, რის თაობაზეც შპს „კვადრა გრუპი“ ინფორმირებული იყო, როგორც საქართველოს საავტომობილო გზების

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დეპარტამენტის, ასევე შპს „ინდიკო“-ს წარმომადგენლებისაგან) მისი გამოისობით არ იყო გამოწვეული. შპს „ინდიკო“ ამტკიცებს, რომ პირიქით, შპს „კვადრა გრუპს“ არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულებები მასთან მიმართებაში. შპს „ინდიკო“ -მ მას სამუშაოების დაწყებამდე ავანსის სახით გადაურიცხა 20000 ლარი. როგორც, 2016 წლის 10 დეკემბრით დათარიღებული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტიდან ჩანს, მოსარჩელეს 2016 წლის 06 დეკემბრისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 24219.00მ2-დან გზის საფუძველი ცივი რეციკლირების მეთოდით მოწყობილი ჰქონდა 4970.00მ2-ზე და ისიც უხარისხოდ (რაზეც მეტყველებს ექსპერტიზის დასკვნისა და რეცეპტის წარმოდგენლობა), რომლის ღირებულებაც შეადგენს 16847,458 ლარს. ხელშეკრულების თანახმად ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის შემსყიდველის მიერ დადასტურებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში. მოსარჩელეს დღემდე არ წარმოდგენია დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა.

დავის თანხა - 82843.58 ლარი.

სავარაუდო შედეგი - წინამდებარე საქმეზე მოსალოდნელია დავის შპს „ინდიკო“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტა.

2. მოსარჩელე - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მოპასუხე - შპს „ინდიკო“

დავის განმხილველი სასამართლო - სენაკის რაიონული სასამართლო

დავის არსის მოკლე მიმოხილვა -18.04.2017წ. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა სენაკის რაიონულ სასამართლოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამეგრელოს რეგიონული ოფისის, შპს „ინდიკო“-ს და სს „არქეოპოლისი“-ს წინააღმდეგ. 07.03.2019წ. განჩინებით სენაკის რაიონულმა სასამართლომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნა შპს „ინდიკო“-სა და სს „არქეოპოლისი“-ს შორის 2008 წლის 22 აპრილს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში გამოყო ცალკე წარმოებად. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნა შპს „ინდიკო“-სა და სს „არქეოპოლისი“-ს შორის 2008 წლის 22 აპრილს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ უპერსპექტივოა, რადგანაც შპს „ინდიკო“ კეთილსინდისიერი მყიდველი და მესაკუთრეა.

დავის თანხა -206800 ლარი.

სავარაუდო შედეგი -წინამდებარე საქმეზე მოსალოდნელია დავის შპს „ინდიკო“-ს სასარგებლოდ გადაწყვეტა.

19. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიაზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქალაქებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის

კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის გავლენა	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	610,610	1,555,433
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	20,223	360,752
	630,833	1,916,185

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის კომპანისეული მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება 31-12-18	საბალანსო ღირებულება 01-01-18
ლარი		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	952,707	1,036,606
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1,676,381	1,417,740
	2,629,088	2,454,346

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს მმართველობითი ხელმძღვანელობა.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ლარი

31-12-18

ხელფასი და ბონუსები

29,500

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობა გამოსაცემად დაამტკიცა 2020 წლის 11 იანვარს

მართველობითი ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)


1. კომპანიის შესახებ ინფორმაცია

შპს „ინდიკო“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს. კომპანია დაარსდა 1996 წელს და საქმიანობას ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია იოსებ გადელია, ხოლო კომპანიის დირექტორია მანანა გვასალია.

კომპანიის სტრუქტურა განსაზღვრულია შემდეგია:

კომპანიის სტრუქტურა



2. ოფისები და შეთავაზებული მომსახურება

შპს „ინდიკო“-ს იურიდიული მისამართია: ქ. სენაკი, ღვინჯილიას ქ.#3, ხოლო ფაქტობრივი მისამართი, სადაც განთავსებულია კომპანიის ადმინისტრაცია და მდებარეობს საწარმოო ინფრასტრუქტურა. კომპანიას ასევე აქვს ოფისები:

- თბილისი შარტავას ქ. 40
- ლანჩხუთის რაიონი სოფ. გონიოში
- ბაკურიანში

პროექტების შესაბამისად, კომპანიას ასევე აქვს მობილური ოფისები სამშენებლო ობიექტების შესაბამისად.


დღეის მდგომარეობით კომპანია ძირითადად მუშაობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- ასფალტო-ბეტონის გზების მშენებლობა, მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია;
- რკინა-ბეტონის გზების მშენებლობა, მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია;
- საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესრულება;
- შენობა/ნაგებობების მშენებლობა და რეკონსტრუქცია;

3. განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია იყოს ლიდერი კომპანია, ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული კომპლექსური ინფრასტრუქტურული პროექტებით. კომპანია უპირატესობას ანიჭებს პროექტებს, რომლების მოიცავენ მშენებლობას, რაც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და შემოიტანოს საქართველოში მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

კომპანიას არჩეული აქვს ექსპანსიის სტრატეგია და თავის თავს ხედავს სამი წლის შემდეგ შემდეგნაირად:




კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები



ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები მყისიერ ასახვას ჰპოვებს კომპანიის კეთილდღეობაზე, ამიტომ მას აქვს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი ეფექტი. არაფინანსური მაჩვენებლები კი ძირითადად ორიენტირებულია გრძელვადიან კეთილდღეობაზე და მათი ეფექტი გრძელვადიან პერიოდში ასახვას პოვნის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ქვემოთ განვიხილავთ ორი ტიპის მაჩვენებლებს და აღვწერთ მათ ზეგავლენას ბიზნესზე.

ძირითადი მაჩვენებლები

შემოსავლების და წმინდა მოგების დინამიკა

ცხრილი #1	2014	2015	2016	2017	2018
საოპერაციო შემოსავლები	3,878,319	4,888,939	7,315,003	18,562,710	7,767,228
წმინდა მოგება	395,961	935,365	1,017,172	4,408,537	66,629





ცხრილიდან #1-დან და გრაფიკებიდან ჩანს, რომ კომპანიის საოპერაციო შემოსავლები ზრდის მაჩვენებელით ხასიათდება. 2017 წელს, კომპანიას აქვს ძალიან სწრაფი ზრდა და ასევე 2018 წელს სწრაფი შემცირება რაც განპირობებულია ბიზნესის სპეციფიკით. კერძოდ, კომპანიის შემოსავლები დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაზე. ასევე ცხრილიდან ნათელია, რომ კომპანიას აქვს პოტენციალი და რესურსები, რომ უზრუნველყოს 18 მილიონის და მეტი მომსახურების მიწოდება.

ცხრილი #2	2018
შემოსავალი	7,767,228.00
საერთო მოგება	1,528,710.00
მოგება ამორტიზაციის გარეშე.	1,817,173.00
წმინდა მოგება	61,511.00

ცხრილი #3	2018	2017
წმინდა საბრუნავი კაპიტალი	(213,964.00)	153,866.00
ფული და ფულის ექვივალენტები	20,223.00	360,752.00
სულ აქტივები	2,691,649.00	2,612,039.00
სესხები	1,676,381.00	1,417,740.00
სულ ვალდებულებები	4,786,994.00	4,951,929.00
საკუთარი კაპიტალი	9,184,059.00	9,242,342.00

ცხრილი #2-დან და წმინდა მოგება და ამორტიზაციის გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ კომპანიას ცდილობს შეიძინოს მაღალტექნოლოგიური ძირითადი საშუალებები, რათა გადაიარაღოს თავისი საწარმო და გაზრდოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ჩვენი მოსაზრების ნათელი მაგალითია 2018 წელს მოგება ამორტიზაციის გარეშე, რომელმაც შეადგინა 1 817 173 ლარი, როდესაც წმინდა მოგებაა 61511 ლარია (იხ. ცხრილი #3). 2018 წელს კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალის (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები) მაჩვენებელი გაუარესდა, მაგრამ კომპანიას გააჩნია დიდი რაოდენობის საკუთარი კაპიტალი, რათა უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის შემოსავლების შემცირება 2018 წელს გამოიწვია სამშენებლო ბაზარზე არსებულმა კონკურენციამ. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში, სადაც სამუშაოდ ფასი უფრო მნიშვნელოვანია და გადამწყვეტ როლს თამაშობს ვიდრე ხარისხი. აღსანიშნავია რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულებული პროექტების ხარისხს და პროექტებში შეტანილ ინოვაციებს.

ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები

კომპანია ძირითადად ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს, რომელთა ხანგრძლივობა არის 12 თვე ან მეტი. კომპანიის ძირითადი კონტრაქტორია სახელმწიფო, შესაბამისად კომპანია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში, რომლის ღირებულებაც განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში, ლარში. ხელშეკრულებაში ხშირად გათვალისწინებულია ავანსი, რომელიც კომპანიამ უნდა გამოიყენოს სავალუტო რისკის თავიდან აცილებისათვის და საჭირო მასალების შეძენისათვის, მაგრამ 2017 წლის 1 იანვრიდან შესულმა საგადასახადო საკანონმდებლო ცვლილებამ, რომელიც

შეეხო ავანსების დაბეგვრას, გააუარესა კომპანიების რისკი, რადგან ავანსიდან კომპანიამ უნდა გადაიხადოს დღგ. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანიებს ავანსის სანაცვლოდ, წარდგენილი აქვთ საბანკო გარანტია, რომელშიც იხდის გარკვეულ პროცენტებს, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიებს აქვთ საპროცენტო ხარჯი ისეთ თანხაზე, რომელსაც ვერ იყენებენ.

კომპანიის რისკ ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მას არ აქვს დივერსიფიცირებული თავის შემოსავლები. შემოსავლების 99% პროცენტი ფორმირდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე. მომავალში კომპანია შეეცდება გაზარდოს კერძო სექტორის სეგმენტი.

შპს „ინდიკო“-ს დირექტორი:

მ. გვასალია

შეუბო ავანსების დაბეგვრას, გააუარესა კომპანიების რისკი, რადგან ავანსიდან კომპანიამ უნდა გადაიხადოს დღგ. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ კომპანიებს ავანსის სანაცვლოდ, წარდგენილი აქვთ საბანკო გარანტია, რომელშიც იხდის გარკვეულ პროცენტებს, რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიებს აქვთ საპროცენტო ხარჯი ისეთ თანხაზე, რომელსაც ვერ იყენებენ.

კომპანიის რისკ ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მას არ აქვს დივერსიფიცირებული თავის შემოსავლები. შემოსავლების 99% პროცენტი ფორმირდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე. მომავალში კომპანია შეეცდება გაზარდოს კერძო სექტორის სეგმენტი.

შპს „ინდიკო“-ს დირექტორი:



მ. გვასალია